განკარგულება:**g-37. 37231093**
თარიღი:**19/04/2023**

**განკარგულება N28**

19 აპრილი 2023 წელი

ქ. ოზურგეთი

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ოზურგეთში წერეთლის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების (ს/კ 26.26.40.118) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 108-ე მუხლის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

***გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :***

**მუხლი 1.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ოზურგეთში წერეთლის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონება (ს/კ 26.26.40.118) - 5500.00 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი გადაეცეს, უსასყიდლოდ საკუთრებაში სახელმწიფოს, შემდგომში შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გადასაცემად.

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №14).

**მუხლი 3.** ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი